სახალხო გაზეთი

№ 891 შაბათი, 11 მაისი 1913 წ. № 891

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაპრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიახნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

კვირას, 26 მაისს, აზალი კლუბის ბაღში, გაიმართება სეირნობა

ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

საზოგადოების გაზეთობა დახმარებასა სთხოვს ყველას. ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული და გაზეთში გამოცხადდება. 1201

თ-დნი ანტონ და **ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძეები** და **ექიმი შალვა ანტონის ძე მიქელაძე** ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქალ. ფოთში, უეცრად გარდაიცვალა პირველთა—ძმა და უკანასკნელის—ბიძა

თ-დ დავით გრიგოლის ძე წულუკიძე.

განსვენებულის დაკრძალვა მოხდება **ქ. ქუთაისში შაბათს, 11 მაისს,** ნაშუადღევის 5 საათზე. 1200

კვირას, 12 მაისს,

ავლაბრის საზაფხულო კლუბში (მიხეილის ქ., № 65, კარაპეტიანცის ბაღი

საზოგადოება **„განათლება"** ჰმართავს

დიდ სეირნობას

ბავშვებისათვის გასართობები: ყვავილთა დედოფალი, ნიშანში სროლა, ანკესი, სინემატოგრაფი, შარადები საჩუქრებით და სხვა. გამართული იქნება ამერიკული ბაზარი, უხვი ქვევრი, ბეღის გასადები, ფოკუსნიკი, ტვიელები, კონფეტები—საჩუქრით და მრავალი სხვა გასართობები.

დაუკრავს ხამხედრო მუსიკა და დუდუკი. დასაწყ. ნაშუადღ. 3 ს.

შესვლის ფასი 25 კ., უმაწვილთათვის და ჯარის კაცთათვის—15 კ. 1199

ავლაბრის სახალხო თეატრი

კვირას, 2 მაისს, 1913 წ.

საზაფხულო სეზონის დასაწყისი

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ მ. ახიობ **ი. ივანიძის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება **„სამშობლო"**, ისტორიული დრამა 5 მოქ. დ. ერ. სთავისა

მონაწილეობას ღებულობს წრის მთელი დასი.

ბილი ახლად შეკეთებულია და სადღესასწაულოდ გაჩირაღდნებული. ანტრაქტებში დაუკრავს წრესთან არსებულ სიმებიანი ორკესტრი ბ. ბეთანაშვილის ხელმძღვანელობით.

დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილების ფასები ¼—50 კაპეიკამდე.

1029 მორიგი გამგე **თ. ნასიძე.** რეჟისორი **ი. ივანიძე.**

საარტისტო საზოგადოების თეატრი

კვირას, 2 მაისს, სალამოს 8-ნახევ. ს.,

მხოლოდ ერთი გასტროლი

მსოფლიოდ ცნობილ **იაპონელ მსახიობ ქალის**

მანაკო ოტანი

ტოკიოს საიმპერატორო დასის არტისტებით. მომდინარე ეზონში სატატრო ქალაქში მანაკო ოტამ თვისი გასტროლებით ფრიად დიდი შთაბეჭდილება ოახდინა

იაპონიის ხელოვნების საღამო

I	II	III
თავის მოკვლა	**ყავახანაში**	**მსახური ქალი ოტაკე,**
დრამა 2 სურათად.	პიესა ერთ მოქმედებად.	კომედია ერთ მოქმედებად.

მთავარ როლებს ყველა პიესებში **მანაკო ოტატ** შესასრულებს. იაპონური ეროვნული ცეკვა. იაპონურ ინსტრუმენტებზე: დაკვრა. ჭიდაობა ჯიუ-ჯიტსი. იაპონური ზნე-ჩვეულებანი. საკუთარი ტანისამოსი და ბუტაფორია.

წარმოდგენის წინ სიტყვას წარმოსთქვამს **ნ. ნ. შესტოვი,** იაპონურ თეატრზე და პიესების შინაარსს განმარტავს.

დაჩენილი ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 11—3 ს. და საღ. 5-დან. 277

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფი მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს **მაღალაშვილი ბ. ბ.** სამშ.ბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12 :—. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე. გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონ ულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 1—12. **თ. კანანაძე ი. მ.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაძრაძე დედაბრიშვილისა ყ.** დღე, გარდა ოთხშ. —1 **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 **ფედოროვი ბ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10—1. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფოლდოვი ბ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტეოიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, თაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საფასურები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. შობიარობა 0 დღე ფოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606"** და **„914"** **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. ფასიანი საფასურით. წ. 1035

ისყიდება ძ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

კანონი

გლეხთა და სოფლელთა და ბატონთა და მეშამულეთა შორის დროებით-ვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობის მოსწორებისა ნადელის დახსნითა და შესყიდვით საკუთრებად, მთავრობის დახმარებით, ტფილისისა, ქუთაისისა, ერევნისა, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში **ფასი 30 კ.**

თარგმანი და გამოცემა **ა. თ. ყიფშიძისი.**

ტფილისის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით:

Тифлисъ. Книжный магазинъ О-ства Расп. Грамотности. 1198

ენერგიის წარმოების სხვაგვარ სისტემის შემოღების გამო,

ძლიერ ხელსაყრელ პირობებში

იყიდება

სრულიად უვნებელი და კარგად შენახული:

1) **ორი წყლის მილიანი ორთქლის ქვაბი:** გახურების სიერცე 40 ოთხკ. მეტრი, საკ. საზოგ.-ბის „ვ. ფიცნერ და კ. გამპერის" ქარხნისა.

2) **ორთქლის მანქანა** 35 ინდ. ცხენის ძალით, ერთ ადგილას მდგარი, გემის ტიპისა. გერმანელ „KIELER MAS HINEN FABRIK"-ის ქარხნისა; თავისივე საბრუნებელი მანქანით (Валъ), რომელიც მუდმივი ელექტრონის 220 ვოლტი და 100 ამპერის ძალის დინამომანისასთან არის შეერთებული, და

3) **ორთქლით მომუშავე წყლის ამოსაზიდი მანქანა.**

დაწვრილებით ცნობების გაგება შეიძლება: **ქიმოთურაში, შავი ქვის მრეწველთა ტრების საბჭოში.** 1202

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მებრაგიანცი

წამლოგა ჯლეკისა, იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. **წამლობა ტუბერკულიზისა, რადიის** პრეპარატებით და **ბენზომატორაკით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებოთოვის ქ., № 23 (გალოვის ქ. კუთხე).

ტელეფ. № 7—93. 97

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ამბულატორიას იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის ხსნივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 19

ექიმი ნინო ზაზილაძე

კბილისა

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაჭარაშვილისა

ექიმი ვ. თ. ტყეშელაშვილი.

ქუთაისში

ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ., № 18,** (ვორონცოვის ძველის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

საინტერესო აღსარება

მრავალჯერ გვქონია შემთხვევა აღგვენიშნა ის გულგრილობა, ის უყურადღებობა, რომლით რუსული პროგრესიული ჟურნალ-გაზეთები განაპირა ქვეყნების საქმეებისა და მდგომარეობას ეკიდებიან. ვამბობთ „პროგრესიული ჟურნალ-გაზეთებიზ", რადგან სწორედ ამათ არ ეპატიებათ ეს უყურადღებობა; რაც შეეხება მეორე ბანაკის პრესასა, იმისგან ყურადღებას მოკლებულნი არცა ვართ: აქვთ თუ არა აქვთ შემთხვევა, ლანძღვა-გინებასა და წყევლა-კრულვას არ გვაკლებენ...

საკვირველი კი არის პროგრესიულ პრესასა ასეთი პოზიცია. სამხრეთ აფრიკაზე და ამერიკაზე უფრო მეტსა სწერენ, ვიდრე იმ განაპირა ქვეყნებზე, რომელთა სვებედი მჰიდროთ არის შეკავშირებული რუსეთის იმპერიის საერთო სვე-ბედთან. საქმის კი არაა, რომ ჩვენზე ზრუნვასა ვთხოვდეთ; საკვირველი ისაა, როგორ ივიწყებენ, რომ განაპირა ქვეყნების ამა თუ იმ ყოფას, პირდაპირი ზედგავლენა, შეურყეველი კავშირი აქვს თვით რუსეთის ყოფა-ცხოვრებასთან?! წინად, კონსტიტუციის ხანამდე, ვფიქრობდით—ცენზურის მიზეზი თუ არის ასეთი გაჩუმება, ასეთი მდურეობა-მიფუჩეჩება განაპირა ქვეყნების საქმეებისა. მით უმეტეს გვქონდა საბუთი გვეფიქრა, რომ ნათლად ვხედავდით—როგორ შებორკილი იყო პრესსა შინაურ საქმეებზე მსჯელობაში და, ამის მიზეზით, რა დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი გარეშე პოლიტიკას და უცხო სახელმწიფოთა შინაურ საქმეებს. მაგრამ ეხლაც, როცა პრესსა შედარებით უკეთეს პირობებშია,—ეხლაც რომ ამასვე ვხედავთ, რ ღა? რით აიხსნება ეს უცნაური ამბავი? ნუ-თუ იმით, რომ პროგრესიულ პრესის აზრი განაპირა ქვეყნებზე არსებითად არ განირჩევა მაინცა და მაინც კონსერვატიულ პრესსის აზრისაგან? ჩვენში ბევრი ჰფიქრობს ასე; ბევრია იმ აზრის, რომ რუსეთის პროგრესიული პრესსა დუმილით ჰფარავს თავის აგრესიულსა და რეაქციონურს განზრახვათ განაპირა ქვეყნებისა და არა-რუსთა მიმართო...

ეს აზრი არ არი მართალი, მაგრამ ამის გამოკვლევას ჩვენ არ შევუდგებით დღეს; ვთქვათ, მართალიც იყოს, მერე ნუ თუ ამით შეიძლება ხსენებულ პოზიციის გამართლება?! ნუ თუ ცხადი არაა, რომ განაპირა ქვეყნების ინტერესებისა და საქმეებისათვის ყურის წაყრუება თვით რუსთა საქმისათვის არის მავნებელიცა და დამღუპველიც?!.. თუ რუსთა პროგრესიულს აზროვნებას ნამდვილი წარმოდგენა არ ექნება არა-რუსთა მდგომარეობასა და მოთხოვნა-მოლოდინზე, ერთხელ იქნება დიდ გასაჭირში ჩავარდება ეს პრესსა, რადგან გაუგებარი ამბები დაატყდება თავს, რომელთაც ვერც ბოლოს გაუგებს, ვერც თავს, რომელთა შესახებ ვერავითარ შეხედულებას ვერ გამოარკვევს და ვერავითარ გზას ვერ უჩვენებს ვერც საზოგადოებას, ვერც საკანონმდებლო დაწესებულებათ.

ამისი პატარა მაგალითი დღესაცა გვაქვს და დიდათ დამახასიათებელიც არის. ერთ-ერთ უკანასკნელ №-ში ცნობილი გაზეთი „რუსსკ. ვედომ." ეხება პოლონელთა ბოიკოტს, ებრაელების წინააღმდეგ მიმართულს, და, სხვათა მორის, სწერს: „ჩვენი უბედურებაა, რომ სისტემატიურად თვალ-ყურს არ ვადევნებთ განაპირა ქვეყნების ცხოვრებას; ამის გამო ხშირად თავს გვატყდება ისეთი მოვლენა, რომლის ნამდვილი დაფასება აღარ ძალგვიძს"... ფრიად დამახასიათებელი აღსარებაა სწორედ „რუსსკ. ვედომ."-სათვის! სწორედ ეს დარბაისელი და სიმპატიური გაზეთია ნამეტნავად ცოდვილი ამ მხრით. სწორედ „რუსსკ. ვედომ."-ში არც წინა ხანაში, არც ახლა ვერ ვპოულობთ, არა—თუ სისტემატიურს, დროგამოშვებითს ლაბარაკსაც განაპირა ქვეყნებზე. ეს გარემოება ჩვენ,—განაპირა ქვეყნების მცხოვრებთ და ამ გაზეთის მკითხველთა და პატივისმცემელთ,—უკვე კარგა ხანია დაფასებული გვქონდა, როგორც საკვირველი და უცნაური ნაკლი გაზეთისა. როცა ამას წინად ამ გაზეთმა თავისი იუბილე იდღესასწაულა და ანკეტა მოახდინა მკითხველთა აზრის გასაგებად, ჩვენ არ გვინახავს ქართველი მკითხველი ამ გაზეთისა, რომელსაც არ მოჰსურვებოდა სწორედ ამის აღნიშვნა საანკეტო ფურცელში, ესე იგი, იმისა, რომ ამ გაზეთის მთავარი ნაკლი განაპირა ქვეყნების საქმეების მიყურებაა. თუ ეხლა თვით გაზეთმაც შეიგნო ეს ნაკლი, ეს უხერხულება, ეს გაუგებრობა, რასაკვირველია, საკმაოვნო ამბავი იქნება; მაგრამ, საუბედუროთ, ვეჭობთ, რომ „რუსსკ. ვედომ."-ის აღსარება შემთხვევითი ხასიათისა არ უნდა იყოს. ვგონებთ, ჯერ რუსთა პოლიტიკური აზროვნება იმდენად მომწიფებული არაა, რომ ღირსეული და შესაფერისი მსჯავრი დასდოს თავის შეუფერებელ საქციელს ამ საკითხში და მიუდგომელად იმსჯელოს არა-რუსთა საქმეებზე. ამას ბევრი რამ უშლის ხელს და, იქნება, უპირველესად ყოველისა ის, რომ თვითონაც ორპოფული სულისკვეთებითაა შეპყრობილი არა-რუსთა მდგომარეობისა და საქმეების შესახებ...

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„რუსკ. ვედომ." მწარედ დასტირის ბეჭდვითი სიტყვის ბედს,—იმ ბედს, რომელიც მას მოელის, თუ ახალი კანონ-პროექტი დამტკიცდა: „აღსრულდა!.. გამოქვეყნებულ იქმნა მთავრობის კანონ-პროექტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. საშინელ მოლოდინი ტ ხმები გამართლდა ზედმეტად. ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტი აკარწყლებს პრესსის თავისუფლების აჩრდილსაც-კი. მთავრობის კანონ-პროექტი ჰკლავს რუსულ პრესსას. იგი არა თუ გვიბრუნებს ძველ წესებს, ისეთი ახალი რამეებიც შემოაქვს, რომ წინანდელი საცენზურო ხანა პრესსის ოქროს ხანად დაგვესახება. ყველაფერი, რის მოგონებაც შეიძლებოდა პრესსის გაჭრობისთვის, ყველაფერი შეტანილია პროექტში; ყოველი მოლოდინი პრესსის თავისუფლების მტრებისა, პრესსის დამოუკიდებლობისა გაძართლებულია ახალს პროექტში".

შემდეგ გაზეთი მუხლ-მუხლად არჩევს პროექტს და დასძენს:

„როგორც ხედავთ, საკმარისია პრესსის ასალგამავად ის ძირითადი მუხლები, რომელნიც ძველს კანონებში იყო გაფანტული; მაგრამ, ეს საკმარისად არ უცვნიათ პროექტის შემდგენელთ და დაურთავთ ისეთი დამატებითი წესები, რომელნიც პირდაპირ სპობენ პრესსას. მაგალითად, სასამართლოს ნება ეძლევა ხუთ წლამდე აკრძალოს შეჩერებულ გაზეთის გამოცემა; ნება ეძლევა აუკრძალოს სტამბას, სადაც ეს გაზეთი იბეჭდებოდა, გაზეთის ბეჭდვა, გამომცემელს ახალის გაზეთის გამოცემა და თვით წიგნების მაღაზიასაც ხუთი წლით აუკრძალოს ვაჭრობა!.. და ესეთი აკრძალვა დაწესებულია არა რაიმე მძიმე საგანგებო დანაშაულობისათვის; არა, მძიმე დანაშაულობა აქ არაფერ შუაშია; სასამართლოს ნებაზეა, თუნდ მცირე დანაშაულობისათვისაც ასეთი სასჯელი დააწესოს (1045 მუხლი). მართლა რომ საშინელი სიზმარია ყოველივე ეს... სადაა ზრუნვა ბეჭდვითი სიტყვის პირობათა გაუმჯობესებაზე, რასაც მთავრობა კარგა ხანია გვპირდება?! სად არის კულტურული პატივისცემა პრესსისადმი?! სად არის განათლებულ ადამიანის უფლების პატივისცემა?! სად არის თვით უფლება"?!

* * *

სრულიად რუსეთის საალიტერატურო საზოგადოებამ, პეტერბურგს, მიიწვია პრესსის წარმომადგენელნი ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტის განსახილველად. კრებამ ერთხმად აღიარა, რომ პროექტს საგნად აქვს გააუარესოს პრესსის მდგომარეობა, უმთავრესად დემოკრატიულის პრესსისა. რედაქციები თავის ზნეობრივ მოვალეობად სთვლიან ხმამაღლა პროტესტი გამოაცხადონ ამ პროექტის წინააღმდეგ და ყველა ღონისძიებით იბრძოლონ სიტყვის თავისუფლებისათვის. ამ პროტესტზე ხელი მოაწერეს უკვე ყველა პროგრესიულმა გამოცემებმა პეტერბურგისა, მოსკოვისა და პროვინციის ქალაქებისა. სხვათა შორის, ხელი მოუწერია ესდეკების „ლუჩ"-საც.

ამას-კი დიდი პროტესტი გამოუწვევია ესდეკების მეორეგაზეთის „პრავდა“-საგან. როგორ თუ, გაჰკივის ეს გაზეთი, ჩვეულებრივის პაფოსით:

„როგორ თუ „ლუჩ“-ი,—ის გაზეთი, რომელიც თავის თავს მუშების გაზეთად აღიარებს, კადეტების „რეჩთან“ და „დენთან“ ერთად მოქმედობს“?!.

მართალს ამბობს „რეჩ“-ი: „პრავდა“ ძალიან მოწადინებულია, საღ აზროვნების მარცხვნივაც-კი დაიჭიროს პოზიცია. მაშ, რიღას მეშარცხენეა?!“

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო)

8 მაისის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს. სათათბიროს ფეხზე ადგომით მოისმინა ხელმწიფე იმპერატორის სამადლობელი დეპეშა ძილოცვისათვის. დარბაზში „ურა“-ს ძახილი გაისმა.

განსახილველია საკანონმდებლო მოსაზრებანი რომანოვთა საგვარეულოს სამასი წლის მეფობის დღესასწაულის აღნიშვნაზე.

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი შევიაკოვი. მთავრობა დიდის თანაგრძნობით ეკიდება დღესასწაულის აღსანიშნავად სრულიად რუსეთის ეროვნულ ძუნეუმის დაარსების აზრს, საოსტატო და საპედაგოგიო სემინარიების გახსნას და სხვა. მთავრობა კისრულობს შესაფერ კანონპროექტების შემუშავებას.

მიწათ-მოწყობის მთავარი გამგის ამხანაგი გრ. იგნატიევი მეურნეობის გაუჯობესებაზე ლაპარაკობს და აღნიშნავს, მთავრობა სრულიად ეთანხმებოდა, რომ დღესასწაულის ღირსეულ აღსანიშნავად საჭიროა საადგილ-მამულო საქმეთა მოწესრიგება, ამასთანავე ამ რეფორმებს სახელმწიფოებრივი ხასიათი, უნდა ჰქონდესო. მთავრობა შეიმუშავებს შესაფერ კანონპროექტს. იგი ღრმად არის დაიმედიანებული, რომ ადგილობრივ საზოგადოებათა ძალის მეშეწეობით და დახმარებით შესძლებს განახორციელოს სურვილნი და ზრახვანი საკანონმდებლო დაწესებულებისა (ტაში).

უკამათოდ მიიღეს რამდენიმე კანონპროექტი, მათ შორის სამართლის წარმოების ორგვარ წესის შეცვლა ერთ წესად და საკასაციო და საპელაციო ვადების შემცირება. სათათბირო მსჯელობს იმაზე, სასურველია, თუ არა 1792 წ. 11 ივნისის საქალაქო დებულებათა რეფორმის საკანონმდებლო მოსაზრება.

ნოვიკოვი მეორე არკვევს არსებულ საქალაქო დებულებათა წარმოშობვის მიზეზებს და მის ხასიათსა და მრავალის მაგალითით ამტკიცებს, რომ დღევანდელ ახალ მოთხოვნილებებს იგი სრულიად არ შეეფერებაო. მოლაპარაკე მოსაზრებას სასურველად სცნობს და კომისიაში გადაცემას მოითხოვს.

კანონ-პროექტით ქალაქის საზოადოებრივი თვითმმართველობის კომპეტენციას ფრიად ფართოვდება; ყოველი ადგილობრივი და საზოგადოებრივი საქმე ქალაქის თვითმმართველობის გამგებლობაში უნდა იყოს, თვითმმართველობა უნდა ჰზრუნავდეს კერძო და საზოგადოებრივ უზრუნველ-ყოფაზე; პროექტით მთავრობას ევალება მხოლოდ თვალ-ყური ადევნოს თვითმმართველობის კანონიერ მოქმედებას; პროექტით ქალაქის ყოველ მცხოვრებს, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, უნდა მიენიჭოს ქალაქის სიბჭოს საარჩევნო უფლება. ქალაქის საქმეთა თანამდებობის პირნი შეიძლება მოწვეულნი იყვნენ არა ხმოსანთა შემადგენლობიდან, მხოლოდ ხმოსნებმა უნდა აირჩიონ ამგვარი პირნი; მთავრობის დამტკიცებას არჩეულნი პირნი არ ექვემდებარებიან.

ლიუბი. ოქტომბრისტებს საჭიროდ მიაჩნიათ არსებულ საქალაქო დებულებაში შესწორებანი შეიტანონ, მაგრა შემოტანილ პროექტში არის პრინციპიალური მოსაზრებანი, რომელნიც ეხლანდელ მომენტს სრულიად არ შეეფერება. ერთი ამგვარი შეუძლებელი მოსაზრება არის ცნობილი ოთხსართულიანი ფორმულა. მოსაზრება კომისიას უნდა გადაეცეს და უკანასკნელი გამოარკვევს სასურველია იგი თუ არა.

ველიხოვი. საქალაქო დებულებათა რეფორმებს დიდი ხანია რაც ელის ქალაქთა 25 მილიონი მცხოვრები. ქალაქის თვითმართველობებს უხდებათ ფრიად რთული სოციალური საკითხების გადაწყვეტა და იგი უძლურია გაარკვიოს ეს საკითხები, რადგანაც ის სახლის პატრონთა საბჭოა.

ქალაქთა ყოველ მცხოვრებს ხმა უნდა ჰქონდეს ქალაქის თვითმმართველობაში. მოლაპარაკე აღნიშნავს, თუ რაგვარ შევიწროვებას განიცდიან თვითმმართველობანი ადმინისტრაციის მხრით და დასძენს: თუ ეხლაც სათათბიროს უმრავლესობა უარჰყოფს ამას, რუსეთის ათასობით ქალაქი არა დაივიწყებს და 17 ოქტომბრის კავშირს ადვილად არ ჩაუტარებსო.

ცხოვრება და ხელოვნება

1912 წლ. ლიტერატურის მიმოხილვის მაგალითი)

IV *)

მედიას ამბავი, როგორც მოგეხსენებათ, ელლინური მითია. იქ იმნაირად არის მოთხრობილი მედიას შეყვარების ამბავი: ეროსმა—სიყვარულის ღმერთმა—ღმერთების ბრძანებით დაუკოდა გული მედიას და იასონის სიყვარულით მოსწამლა იგი. ეროსიო, მოგვითხრობს აპპოლონი როდოსელი თავისს „არგონავტებში“ [1]) ჩუმად, ისე რომ ადამიანმა ვერ შეამჩნია, თავისის მშვილდ-ისარითა და კაპარჭით მოჰფრინდა სასახლეში. დაიმალა დარბაზის ერთ სვეტის უკან, ამოიღო კაპარჭიდან ისარი მოიმარჯვა შვილდი; მერე ჩუმადვე იასონს მიუახლოვდა ამოეფარა მას, დაუმიზნა მედიას გულს ისარი და გაისროლა... ქალიშვილი, რომლის გული ღრმად იქმნა დაკოდილი ისრით, იდგა დადუმებული, სევდით მოცული. მწარე ტკივილი სწიწკნიდა მის გულს; ნაზი ღაწვი ხან უყვითლდებოდა და ხან უწითლდებოდა; ღრმად ოხრავდა და ჩუმ ჩუმად, სხვის შეუმჩნეველად, შეავლებდა ხოლმე თვალს იასონს; მისი სული აღვსილი იყო მწარ-ტკბილი გრძნობით.

ეს საოცნებო პოეტური სურათი, რომ ჩვეულებრივ ენაზე გადავთარგმნოთ გამოვა ის, რაც რუსთაველმა ორის სტრიქონით გამოხატა. ხომ გახსოვთ ტარიელისგან პირველად ნესტანის ნახვა: აი როგორ მოუთხრობს ამ ამბავს ტარიელი ავთანდილს:

„ასმათ ფარდაგსა იზიდნა, გარედ ვდეგ მოფარდაგულსა
„ქალსა შევხედე, **ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა** [2])
„ეს თვით იცი, კვლავ თან მახლავს არც დასჭკნება არაოდეს!
„ჩამოვგეგვარ მარად ყვავილს, ვერ მახსენებს მტერი მტრულად,
„ჩემს სიტურფეს თვალის მომჭრელს ვქმნი მარად ჟამ სხივ-შემკულად.
„ჩემს ნაკვთებში კვლავ მხურვალე სისხლი სჩქეფს და ქალის ვნება;
„ჩემი ბაგე ამბორის ჟამს ცეცხლით თრთოლავს და ეგზნება
„ეს ძუძუნი ყვავილობენ, თხელ მარმაშით მწყაზრად კრთიან.
„თუმც გაზარდეს ორი შვილი, ტრფიალისთვის ეზხით თრთიან.
„რომელ დედას ძალუძს ჩემებრ სიამტკბილე გაგრძნობინოს?
„რომელს ძალუძს, რომელს ძალუძს აღგატყინოს?“

გამწარებული დედა-კაცი იღვიძებს მასში და მის მაგიერ, რომ თავისთავად ბუნებრივად მოხიბლოს მამაკაცი, თავის ღირსებებს წინ გადმოუფენს. სრულიად ნამდვილად გადმოცემულია ეგ ფსიხოლოგიური მოვლენა, მაგრამ იგი ყოველთვის უნაყოფო ყოფილა და მედეას ხელშიაც ვერ გასჭრა ამ იარაღმა.

მაშინ ყვედრებას მიჰყო ხელი:

„შენთვის, მზეო, მე გავწირე ერი ჩემი და მშობელი;
„აქ გამოგყე უცხო მხარეს, ვიქმენ სხვისი გლახ მგმობელი!
„მოგეც ძალა და შეწევნა, მოგეც ვერძი—ნატვრის თვალი“.

რასაკვირველია ასეთი დამადლებაც ვერ აღწევს მიზანს და იასონიც გაჯავრებული უპასუხებს:

—„გონს მოხვიდე გირჩევნია, ჩივილით მქმნი აბეზარად“

და მერე „ცივად წასვლა დააპირა“ მაგრამ აქ მედეა აღიჭურვა რისხვითა და წყრომით, „შესდექიო“ შეუყვირა:

„და ამ ხმაში გამოკრთოდა ბრაზი, ზიზღი, სიყვარული,
„ამავე ხმით იცნობოდა გული-მისი გაბასრული.“

მერე მედია ისევ დალბება ისევ მოდუნდება, ისევ ვედრებას მიჰყოფს ხელს:

„ოჰ, სიცოცხლევ! ჩაქრა რისხვა, რისხვა მწირი და ბავშვური;
„მაპატიე, სიტყვა გკადრე, სიტყვა ესე უნებური,
„რა ვქმნა, ჩემო, ყვედრებაში სიყვარულის ისმის კვნესა;
განაცვალე ყოველივე, ერთი შეიქმ ჩემ იმედსა;
შენი სუნთქვა ჩემი არის, ის მიამგებს მწარე ბედსა
მტანჯე, მტანჯე! ნუ კი მტოვებ!
სულსა უძღვენ სევდის ხუნდი;
მე ვილოცავ მაინც შენზე, მხოლოდ ბედკრულს დამიბრუნდი.—
ქვითინით და მწარე მოთქმით
გმირსა მუხლი მოუყარა;
მის კალთასა მოეხვია, მასვე ცრემლი დააყარა“.

უკეთესად გადმოცემა მიჯნურისაგან მიტოვებულის, გრძნობა შელახულის გულისა ძნელი წარმოსადგენიც არის. ყოველი მომენტი მისი შურისძიების განვითარებისა ნათელ-ყოფილია. თავის დამდაბლება ერთის მხრით, თავგანწირულება, უდიადესი მგრძნობელობა, მეორეს მხრით, შეურაცხყოფა, დაწიხლა, უკუგდება ამ მსხვერპლისა, სხვას ვერას შეჰქმნიდნენ თუ არ სამაგალითო შურისძიებას მედეასას.

იასონმა საბედისწერო პასუხი გასცა:

„იასონმა ხელი ჰკრა და მიაძახა: ჯადო-ქარო!“

ამან მთელი მედიას არსება საბრძოლველად მორთო, მთელ მის გრძნობებს თავი მოუყარა და მრისხანების საშინელ ტალღად აქცია.

მე აღარ მოგიყვებით მედიას შემდეგ მოქმედებას ეს ყველამ ვიცით. არ შემიძლიან მხოლოდ არ აღვნიშნო ის ყოველად მოსაწონი ცვლილება, რომელიც ჩვენმა ავტორმა შეიტანა ძველ ელლინთა თქმულებაში: ამ გრდმოცემის მიხედვით მედიამ შურის ძიებით აღტაცებულმა დახოცა თავისი შვილები. ეს ადგილი ცოტა არ იყოს მკვახედ თითქმის ხეპრედაცა აქვს გამოთქმული თვით დიდებულს ძველ „ელლინთა ტრაგედიის მწერალს ევრიპიდეს თავის „მედიაში“. მედია ამ უცნაურ განზრახვის შესახებ ასე უცნაურად ელაპარაკება ხოროს:

„კმარა რაცა ვსთქვი. საშინელებად მიჩანს მისი ქმნა, რაც წინ მიმელის. ამოვწყვეტ სრულად ჩემ ღვიძლ შვილებსა, ვერცა ვერავინ ხელთ გამომტაცებს“. *)

ასეთი წრეს გადასული გაბოროტება მედიისი, რომელიც თავის ხორცსაც კი არ დაინდობს რაღაც საოცარი, რაღაც არა ადამიანური. მედიას—ელლინთა თქმულება უცხოქალად სთვლის, ბარბაროსადა[1]) ამტომაც, რასაკვირველია, ყოველ სიცუდეს ადვილად აკისრებინებს; ხოლო ჩვენმა მგოსანმა უფრო სადის თვალით შეჰხედა მოკლენას. მან ერთი ცვლილება შეიტანა ამ ზღაპრულ გადმოცემაში. მედიას შვილები ჰსურს გადაიბიროს იასონის ახალმა საცოლემ—კრეუზამ—და ამ მიზნით ბავშვებს ტკბილეულებითა და ხილით იტყუებს. ამის გამგონე მედიას ტანჯვა გაუორკეცდება:

„ხმა აღმოხდა, ხმა ოხვრისა—გულის კვნესა ღრმად მწუხარე,
სთქვა: შვილებო! ვაჰ, შვილებო! გაშორებენ დედის გულსა!
ჩემი მტრები შეიყვაროთ, მიტომ გძღვნიან ტკბილეულსა,
მამა თქვენსა რომ უყვარხართ—არა ჰზოგავს თქვენთვის სულსა
მისთვის სატრფოც ეს ახალი ფეხთ ქვეშ გიფენთ სიყვარულსა“.

აქ ნათლად არის ნაჩვენები ისიც, რომ მედიას ამ უკანასკნელ სასჯელსაც უმზადებენ და ისიც რომ იასონს შვილები სულზედ უტკბესად ძიაჩნია, თავისთავად ცხადია, რომ თავზარდამცემ შურისძიების წყარო და დასაბამი აქ უნდა ვეძიოთ. და მედიაც საშინელ გადაწყვეტილებას მიიღებს:

„დღეის შემდეგ თვით ჩემს ნაშობთ ვაი აღარ შევიბრალებ,
მაგრამ ამით გულს მოვუკლავ, ჩემთან ერთად ვავალებ“.

ეს ადგილი ევრიპიდეს სულ სხვა გვარად აქვს აღწერილი: იქ კრეუზა—იასონის საცოლო—ზიზღით ეპყრობა იასონის შვილებს: „ვერ შეამჩნია შენი ვაჟები, თვალი იასონს გადაყოლია, ხოლო თვალები მერმე დახუჭა და ფერმიკრთალი პირი[2]) იბრუნა, ბავშვების მოსვლით გაჯავრებულმა (იხ. მედია ევრიპიდესი გვ. 159).

შესაძლოა ევრიპიდეს სურათი მედიისი უფრო საშინელი, უფრო საზიზღარი იყოს, მაგრამ შანშიაშვილის მედია ამ შემთხვევაში უფრო ადამიანურია და ჩვენს გულსა და გონებას უფრო ხვდება.

არის მეორე განსხვავებაც თქმულებიდან. აპპოლონ როდოსელს,—როგორც ეს შტოლის ზემოხსენებულ წიგნიდანა სჩანს[3])—აქ მედია ცოტა არ იყოს სენტიმენტალურ და უაზროდ თავგანწირულ არსებადაა გამოყვანილი. ისევ გადმოცემული თითქო მედია იასონის ლამაზი თვალებით და ტანით მოხიბლული შეპირდება „ოქროს ვერძის“ გადაცემას და მეტს არას მოითხოვს მისგან, თუ არ იმას, რომ „როცა სახლში დაბრუნდე, მედია არ დაივიწყოო“ და მხოლოდ შემდეგ, როცა მედიას ბოროტ-მოქმედებანი წრეს გადასცილდებიან იასონი თითქო ზოგი მისი შებრალების გამოც წაიყვანს მას თან. მედია კი ასეთი გულუბრყვილო ინსტიტუტში გამოზდილი ქალი არ

*) „იხ. „სახ. გაზ.“ № 890

1) იხ. შტოლი „Миѳы классической древности ტ. I გვ. 214 და შემდ.

2) ხაზი ჩვენია.

*) „იხ. „სახ. გაზ.“ № 890

1) ეს ადგილი ეკუთვნის ევრიპიდეს, „ელლინთა ტრაგედიის“ მწერალს. ევრიპიდეს „მედია“ 159 გვ. 1910 წ.

2) „ეს ადგილი ეკუთვნის ევრიპიდეს, „ელლინთა ტრაგედიის“ მწერალს. ევრიპიდეს „მედია“ 159 გვ. 1910 წ.

1) „ეს ადგილი ეკუთვნის ევრიპიდეს, „ელლინთა ტრაგედიის“ მწერალს. ევრიპიდეს „მედია“ 159 გვ. 1910 წ.

2) „ეს ადგილი ეკუთვნის ევრიპიდეს, „ელლინთა ტრაგედიის“ მწერალს. ევრიპიდეს „მედია“ 159 გვ. 1910 წ.

3

ლებლების სამკითხველოებში წიგნების შეძენის თაობაზე.

კენჭის ყრით სისწრაფე უარჰყვეს; შეკითხვა კომისიას გადაეცა.

შეიტანეს შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი 3 აპრილს პეტერბურგის პოლიციის მოქმედების თაობაზე; შეკითხვის სისწრაფეს იცავს **ბურანოვი.** სათათბიროს სისწრაფე უარჰყო და შეკითხვა კომისიას გადასცა.

განსახილველია შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, ბაქოს ქალაქის უფროსის პირველ მაისს გამოცემულ განკარგულების თაობაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ზოლოტარევი მოაგონებს სათათბიროს, რომ ამ შეკითხვით შინაგან საქმეთა მინისტრის კი არ უნდა მიჰმართონ, არამედ კავკასიის მეფის მოადგილეს, მაგრამ მაინც დასძენს, რომ მეფის მოადგილემ 30 აპრილს შესცვალა ქალაქის უფროსის განკარგულება.

სკობელევი. ბაქოს მცხოვრებლებმა პირველ მაისს არა იცოდნენ რა განკარგულების შეცვლის თაობაზე. შემკითხველები თავის შეკითხვას ჰხსნიან.

ტასკინი და **კარაულოვი** იცავდნენ შეკითხვის სისწრაფეს, სამხედრო მინისტრის მიერ გამოცემულ წესების გამო, რომელნიც შეეხება ზაბაიკალის ყაზახთა ჯარის სამეურნეო გამგეობაში მრჩეველთა არჩევნებს.

შეკითხვაც და მისი სისწრაფეც სათათბიროს მიიღო,

შემდეგი სხდომა 10 მაისს მოხდება.

სახელმწიფო საბჭო

8 მაისის სხდომაზე, აკიმოვის თავმჯდომარეობით საბჭოს მსჯელობა ჰქონდა კანონ-პროექტზე, მიეცეს თუ არა უნივერსიტეტში შესვლის უფლება საკომერციო და სარეალო სასწავლებლთა, კადეტთა კორპუსის და სასულიერო სემინარების კურს დამთავრებულთ. ამ სხდომის ანგარიშს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა. განსვენებულ ილია ჭავჭავაძის მეუღლე, ოლღა თადეოზის ასული, იმ საშინელ დღიდან, როცა ბარბაროსებმა კეტებით თავი დაუზიანეს, ავად იყო; უკანასკნელ დროს კი საცოდავი მოხუცი ტკუაზედ შეირყა, რის გამოც ვერ დაესწრო ილიას ძეგლის კურთხევას. ამ ჟამად ტფილისში ცხოვრობს, თავის ნათესავებთან. არავითარი იმედი გამობრუნებისა, რასაკვირველია, არ არის.

✦ არჩილ ჯორჯაძის ძეგლის ასაგებად სპირდონ ეგნეტეს ძე სხიერელმა წ. კით. საზოგადოებას გადასცა 3 მანათი წერა-კითხვის საზოგადოებაში შემოვიდა სულ—253 მან.

✦ ქ. შ. წ.-კითხვის გამარც. საზოგადოების გაგეობა სთხოვს იმ პირთ, რომელთაც სურვილი განაცხადეს 26 მაისისთვი დანიშნულ **სეირნობის** გამართვაში მონაწილეობის მიღებისა, მობრძანდნენ წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში დღეს, 11 მაისს, საღამოს 6 საათზე.

✦ ფილოქსერა. როდის გაემგზავრებიან საფილოქსერო დასები კახეთს, ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ამ საკითხის თაობაზე 18 მაისს საგანგებო კრება ექმნება მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. კომიტეტს. საფილოქსერო დასში მუშაობის სურვილი წელს ბევრმა განაცხადა. კომიტეტს აზრად აქვს, შარშანდელთან შედარებით, წელს თვალსაჩინოდ გააძლიეროს დასთა შემადგენლობა, რადგანაც შარშან აღმოჩნდა, რომ ფილოქსერა თითქმის მთელს კახეთს მოსდებია და იქ ამ ჟამად ბევრი სამუშაოა. საფილოქსერო დასების გაგზავნას კომიტეტი ამ თვის დამლევს აპირობს. დასები იმუშავებენ ოთხს თვეს, რადგანაც შარშან ძალიან გვიან წავიდნენ კახეთს და სულ თვე ნახევარს იმუშავეს.

✦ დაზღვევის საქმეთა ტფ. საგუბერნიო საკრებულო მიმდინარე წლის მეორე ნახევარში 13 კაცისაგან იქმნება შემდგარი. საკრებულოში შევლენ: გუბერნატორი, ვიცეგუბერნატორი; სახაზინო პალატის გამგე, ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი, უფროსი საქარხნო ინსპექტორი ვაჭრობის სამინისტროს დანიშვნით, ქალაქის საბჭოს სამი წარმომადგენელი და მუშათა ორი წარმომადგენელი. საკრებულომ თავდაპირველად უნდა შეიმუშაოს ავადმყოფთა კასის წესდება, რომლითაც უნდა იხელმძღანელოს მომავალ თავის მოქმედების დროს. განზრახულია, წესდება ვრცელი და ყოველმხრივ გამორკვეული შეადგინონ, რადგანაც ამ წესდებით მარტო ტფილისი და ტფილისის გუბერნია კი არ იხელმძღვანელებს, აგრამედ იგი სახელმძღვანელო მაგალითად გახდება ბათომისა, ქუთაისისა და სხვა პროვინციალურ ქალაქებისთვისაც.

✦ უვარგისი პური. როგორც ვწერდით, ამას წინად ერთმა დიდმა ფირმამ „აბიგ"მა, რომელიც ფქვილსა ვაჭრობს, ქალაქის რამდენსამე ადგილას ფურნეები გააღო. ამ ფურნეებში გამომცხვარ პურს გირვანქას ნახევარ კაპიკით ნაკლებ ჰყიდიან იმ ნიხრზე, რომელიც ახლა არსებობს. გუშინ ამ ფირმის ფურნე (რომელიც მეცხრე უბანშია) დაათვალიერა საგანგებო კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ: მერვე და მეცხრე უბნის სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურე თ-დი ი. გ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ქალაქის საბჭოს ექიმი გ. ფ. ნათიშვილი, სავაჭრო მეთვალყურენი ვ. ზავაროვი და მ. თათევოსიანცი და სასანიტარო ზედამხედველი ი. ძიძიშვილი. ფურნეში კომისიამ აღმოაჩინა 5 ფუთი მესამე ხარისხის პურისა, გამომცხვარი მწარე და აყროლებულ ფქვილისაგან. პური იმ წამს ჩამოართვეს და ცეცხლის მქრობელ რაზმს გაუგზავნეს ცხენებისთვის, რადგანაც ადამიანის კუჭი იმას ვერ მოინელებს. კომისიამ შესაფერი ოქმი შეადგინა. გუშინვე გაიცა ბრძანება, რომ დაათვალიერონ „აბიგ"ის სხვა ფურნეებიც.

✦ ავჭალის წყალსადენის გასაუმჯობესებლადა და გასაფართოებლად, როგორც ვწერდით, 360,000 მანეთია საჭირო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ამ ხარჯების გასასტუმრებლად 400,000 მან. სესხი აიღოს.

✦ შემოსავალი ილიას საღამოსი, რომელიც 5 მაისს ქართულ თეატრში გაიმართა, იყო 751 მან. 31 კ. ხარჯი იყო 334 მან. 3 კ. წმინდა მოგება დარჩა 417 მან. 28 კ.

✦ ქალაქის სასალახოს ახალ შენობის ამგები კომისია ქალაქის მოურავ ა. ი. ხატისოვის მეთაურობით დღეს, დილის 11 საათზე, სასალახოს შენობას დაათვალიერებს და ჩაიბარებს ზოგიერთ ახლად დამთავრებულ სამუშაოს.

✦ ქალაქის დავალიანება. ქალაქის გამგეობამ საგანგებო მოხსენება დაამზადა ქალაქის დავალიანების გამო და 13 მაისს ქალაქის საბჭოს კრებას უდგენს გახსახილველად. ვალის (2 მილიონ მანეთამდეა) გასასტუმრებლად გამგეობა საბჭოს ურჩევს დიდ საქალაქო სესხის აღებას, რომლითაც დიდი შემოსავლიანი საქმეებიც უნდა დაიწყონ: დახურული ბაზრები გააშენოს და სხვა.

✦ გამოფენა. 9 მაისს გაიხსნა ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტისა და ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სკოლის მოსწავლეთა ნაწარმოების გამოფენა. ნაწარმოები არის: ხაზვა-წერისა, ბუნების მეტყველებისა, ფიზიკისა, გეოგრაფიისა და გეომეტრიისა. გამოფენა გასტანს 3 ივნისამდე. დათვალიერება შეიძლება შუადღის 12 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

✦ ტფ. სამხედრო სასწავლებლის იუნკრები გუშინ ტფილისიდან სურამს გაემგზავრნენ სააგარაკოდ. მეორე სპეციალურ კლასის მოსწავლენი ჯერ კიდევ (ივნისამდე) ტფილისში დარჩებიან.

✦ ჩქარი სამკურნალო დახმარება. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს: ჩაიბაროს ჩქარი სამკურნალო დახმარების აღმომჩენი სადგური, რომელსაც დამოუკიდებლად არსებობისთვის ნივთიერი ღონისძიება არ მოეპოვება და რომელსაც გაუქმება მოელის.

✦ ქალაქის გამგეობის 1908 და 1909 წლის მოქმედების ანგარიში შეადგინეს ცალკე წიგნად და დასაბეჭდად გაგზავნეს. 1910 და 1911 წლის მოქმედების ანგარიშებისთვის მასალებს ახლა აგროვებენ განყოფილებებში.

✦ ქალაქის გამგეობამ 8 მაისის კრებაზე დაადგინა, **ქალაქის ლომბარდისა** და საუკეთესო დარბაზის მოქმედება გააერთიანოს. ამ აზრისაა საბჭოს მიერ არჩეული საგანგებო კომისიაც.

✦ ქალაქის 1914 წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტის შედგენას ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა. გამგეობის მეოთხე განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის შედგენა დასრულდა. გამგეობას იმედი აქვს, ხარჯთ-აღრიცხვის მთელი პროექტი 1 ივნისამდე დაასრულოს.

✦ „ვეფხის ტყაოსანი" ახალი გამოცემა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, გამოსცეს მეცნიერულად დამუშავებული „ვეფხის-ტყაოსანი". წიგნი შედგენილი იქნება ძველის ხელთ-ნაწერების მიხედვით და შევა ყველა ის ადგილები, სადაც რაიმე განსხვავებაა. ამ აზრით საზოგადოების გამგეობამ წ.-კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობას სთხოვა, გაუგზავნოს ყველა ის ხელთ-ნაწერი „ვეფხის ტყაოსნი"-სა, რომელიც მოეპოვებ..

✦ საბირეო ცნობები. 10 მაისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 80 კ., აძლევენ—85 მ. 50 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 50 კ., აძლევენ—83 მ. 15 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან., აძლევენ—78 მან.

✦ დეპეშათა ჰეტერბ. სააგენტო იტყობინება, რომ სევასტოპოლში 5 ქართველს 20 წლის კატორღა მიუსაჯეს. მათ ჰბრალდებოდათ შეიარაღებული თავდასხმა სამგზავრო ავტომობილზე.

საზოგადოებანი და კრებები

✦ მესაქონლეთა კრებას ტფილისში იწვევენ ძომავალ შემოდგომაზე.

სასწავლებლებში

✦ ქართულ გიმნაზიაში. 12 მაისს, ქართულ გიმნაზიის შენობაში ამ სასწავლებლის მოსწავლეთა მშობლების წრის წევრთა კრება მოხდება. კრება მოისმენს წრის საბჭოს წარსულ მოქმედების ანგარიშს და მომავალ მოქმედების გეგმას განიხილავს. კრება დილის 10 საათზე დაიწყება.

✦ წ.-კ. საზოგად. სკოლებში. ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, მიმდინარე თვეში რევიზია გაუკეთოს საზოგადოების სკოლებს. რევიზიის მოხდენა გამგეობის წევრებს დაეკალათ.

სასამართლო

✦ მეპურენი სამართალში. გუშინ მეორე სამოქრიგებლო სასამართლოში გაირჩა საქმე 5 მეპურისა, რომელთაც ოქმი შეუდგინეს პურის ნიხრის დარღვევისათვის. მოსამართლემ თვითეული მეპურე დააჯარიმა 25—50 მან.

— ამავე დღეს მოსამართლემ გაარჩია სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა 9 მეპატრონის საქმე, რომელთაც მოსამსახურეთა წესიერ დასვენების სავალდებულო დადგენილება დაარღვიეს. თვითეული დამნაშავე მოსამართლემ დაჯარიმა 5—10 მან.

✦ ტფ. სამოსამართლო პალატის სესია, რომელიც განჯასა და ბაქოში იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

† დავით წულუკიძე

რვა მაისს, ქ. ქუთაისში უეცრად გარდაცვლილა, ქუთაისში ყველასაგან კარგად ცნობილი, საზოგადო მოღვაწე, დავით წულუკიძე. იყო დრო, როცა ქუთაისში პროგრესიული ინტელიგენცია ძალიან სუსტი დამცირე-რიცხოვანი იყო და დავით წულუკიძე მისი ერთი საუკეთესო და ენერგიული მოღვაწე იყო. პატიოსანი, წყნარი, ჩუმი მუშაკი დავით წულუკიძე ყოველთვის მთელის თავის ძალღონით ემსახურებოდა ჩვენი კულტურულის წინ-სვლის საქმეს, იგი კარგად განათლებული კაცი იყო. პარიზის პოლიტეხნიკუმში სწავლობდა. ქუთაისში იგი იყო ჯერ დამფასებლად ადგილობრივ საადგილ-მამულო ბანკში, მერე იქვე საქმის მწარმოებლად და სულ ბოლოს ამ ბანკის სუხუმის დამფასებლად იყო დანიშნული. იგი ავადმყოფი კაცი იყო და ჯერ კიდევ შუა-ხნის კაცი არ იყო, ისე გადაიტანა ამ ავადმყოფობამ. საუკუნოდ იყოს ხსენება ამ ყოვლად პატიოსანის მუშაკისა.

ქუთაისის ამბები

საქველმოქმედო სეირნობას სეირნობა მოსდევს. ჯერ უკვე გაიმართა ორი—ქალთა წრისა და წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების სასარგებლოდ. დღეიდან ივლისამდე ისეთი კვირა ან უქმე დღე არ არის, რომ ბულვარი სეირნობისთვის არ იყოს დაჭერილი.

წერა-კითხვის საზ. განყ. გამგეობის მიერ გამართულმა სეირნობამ კარგად ჩაიარა; გამმართველთ არაფერი დაეშურვებინათ მისთვის, რომ საქმე კარგად მოეწყოთ და, როგორც ისმის, შემოსავალი 1500 მანეთს გადასცილდება.

*

მაზრის თავად-აზნაურთაგან არჩეული კაცები დეპუტატია საკრებულოს შემოსავალ-გასავლის შემოწმებას შეუდგნენ 5 მაისს. შვიდი კაცი-დან პირველს კრებას დასწრებია სამი კაცი—შორაპნისა, ქუთაისისა და რაჭის მაზრის წარმომადგენელნი. პირველ ორ მაზრის აზნაურობას აურჩეია ისეთი კაცები, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ იმ დაწესებულებასთან, ხოლო რაჭის მაზრის წარმომადგენელად გამოცხადებულა მაზრის აზნაურობის წინამძღოლი, რომელიც ერთსა და იმავე დროს რევიზორიც არის და სარევიზიოც, ვინაიდან წინამძღოლი თავის მდგომარეობით წევრია დეპუტატთა საკრებულოსი. თუ დაგვეთანხმება პატივცემული ბ-ნი დ. ჯაფარიძე ასეთი მდგომარეობა მოუხერხებელია, მიუხედავად იმისა, რომ რაჭის მაზრაში რამდენიმე კაცისათვის მიუმართავთ სარევიზიო კომისიის წევრობა იტვირთეო და ყველას უარი განუცხადებია.

*

6 მაისს მსჯელობა ჰქონია ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს ოლქის მზრუნველის დეპუტატის თავმჯდომარეობით იმის შესახებ, თუ ვის მიეცეს წერითი გამოცდის შემდეგ ზეპირი გამოცდის უფლება, სიმწიფის მოწმობის ასაღებად წერითი გამოცდის უფლება მიეცა 80 კაცს. ამათგან ორს ზეპირი გამოცდის უფლება მოესპოთ იმ მიზეზით, რომ შარშან მოსწავლეთა სიაში არ იყვნენ შეტანილნი; სუსტი ნიშნები წერაში აღმოჩენია 10 კაცს. ამ ნაირად ზეპირი გამოცდის უფლება მიეცა 68 კაცს.

*

შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ გ. ზდანოვიჩს პეტერბურგიდან ამ თვის დამლევამდის მოელიან.

*

საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასების მოსწავლეთ საეგზამენოდ 9 ამ თვეს ითხოვენ და უმცროსებისას—18 მაისს.

26 მაისს გაიმართება ბულვარში სეირნობა ბაზრითურთ; შემოსავალი გადაიდება ქართული გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად. როგორც გავიგეთ ქართული გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ქ-ნი ელენე ჩიქოვანისა უკვე შესდგომია საქმეს.

*

საადგილ-მამულო ბანკის გამგეობას განუზრახავს ბანკის ანგარიშები და თავისი მოხსენება წარსული წლის მოქმედების შესახებ ქართულადაც დაბეჭდოს.

წერილები პეტერბურგიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ძლიერ საინტერესო სხდომა ჰქონდა სახელმწიფო სათათბიროს. პარასკევს, 4 მაისს. უნდა განეხილათ იმ დღეს შრომის ჯგუფის შეკითხვა ლენის მუშების დაცვის შესახებ. მომხსენებელი იყო დეპ. კერენსკი, რომელიც სათათბიროში საუკეთესო მოლაპარაკეთაგან ითვლება. დარბაზს არაჩვეულებრივი ელფერი ედო. თითქმის ყველა ადგილი დაჭერილი იყო. კერენსკის სიტყვამ მოლოდინს გადააჭარბა და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ არსებითად ვერც ერთი დეპუტატი ვერ შეეხო მის სიტყვას. ყოველი მისი (კერენსკის) წინადადება, სიტყვა, აზრი იმდენად გულწრფელი, დაბეჯითებითი იყო, იმდენად დასაბუთებული (კერენსკიმ ადგილობრივ გამოიძია ყოველივე), რომ ძარკოვმაც კი ვეღარაფერი უპასუხა. საკითხი მაინც საჩქაროდ არ აღიარეს და გადასცეს კომისიას.

***

როგორც იყო დასროლდა გელოვანისა და გეგეჭკორის შორის სამართალი. ორივე მხარემ ილაპარაკა, ფრაქციების წარმომადგენლებმაც: კერენსკიმ შრომის ჯგუფის სახელით, ჩხეიძემ—ს.-დ-ბისა. ერთი სხდომა ღა იყო, საჭირო რომ განაჩენი გამოეტანათ, მაგრამ.. სასამართლოს ერთი წევრის სხვაგან წასვლის გამო განაჩენის გამოტანა სექტემბრისთვის გადასდეს.

აფორიზმები არჩილ ჯორჯაძისა

დღეს ჩვენი ეროვნულ-კულტურული ორგანიზმი დიდს განსაცდელშია, მას ძველ კულტურასთან ძაფები აქვს გაწყვეტილი-ახალი კულტურა ოდნავ იბრუნებს სულს. დენაციონალიზაციის ძძიმე ლოდი მას წელში ჰკაკვავს.

*

ჩვენთვის დღეს ვინაობის პრობლემაა გასარკვევი. ამ მოვლენებთან არის დაკავშირებული ჩვენი სოციალ-პოლიტიკური მოქმედების გეგმა. ამ წყაროდან ენიჭება მას ცხოველმყოფელი და პრაქტიკული მნიშვნელობა.

თეატრი და ხელოვნება

4 და 5 მაისს გაიმართა ქ. ოზურგეთში მესხიშვილის იუბილეი. წარმოდგენილი იქმნა თვით იუბელიარის მონაწილეობით და ქ-ნ დავითაშვილისა და მოგზაურის დასის დახმარებით „და-ძმა" და „სამშობლო"; ხალხი დიდძალი დაესწრო. შემოსავალი 700 მანეთი იყო. ხალასი მოგება დარჩა 300 მანეთი რაიც გადაეცა იუბელიარს. ოზურგეთიდან 8 მაისს იუბელიარი გაემგზავრა დაბა ჩოხატაურში, სადაც 9 მაისისთვის იყო მიწვეული.

მოზეირილი ამბები

სოხუმი. 12 მაისს ქართული სკოლის საშუალებათა გასაძლიერებლად წ. კ. საზოგადოების გამგეობა ჰმართავს ბულვარში სახალხო სეირნობას. სრული იმედია, რომ ქართველი საზოგადოება კვლავინდებურად თანაგრძნობით მოეკიდება ამ საქმეს.

---

[1]) იხილე ამის შესახებ მშვენიერი წიგნი პროფ. ზელინსკისა „ანტიკური ელინი" ტ. III გვ. 153 „მშვენიერი ელენე".

[2]) იხილე შტოლი და ევრიპიდე loc. cit.

ბოლ. ... ეასონისათვის „გასწირა ერი მისი და მშობელი", იმიტომ, რომ მის გულს და მის გონებასაც დაეპატრონა ყოვლად ძლიერი ეროსი, მის არსებაში დაიბუდა სიყვარულმა, „რომელიც მძლავრია, ვითარცა სიკვდილი". აქაც, მედიას ამგვარად დასურათებაში ჩვენის აზრით ბ. შანშიაშვილი უფრო ახლოს სდგას ადამიანის ფსიხიკის შეგნებაში და უფრო მიუდგომლად სჯის მედიას სულის განწყობილების შესახებ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ელლინთ თავიანთ მითოლოგიურ გარდმოცემებშიაც ერთგვარი ტენდენცია შეჰქონდათ.[1]) მედიას დაცირებასა და გაუპატიურებასაც, რასაკვირველია, არ დაერიდებოდნენ. ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ თვით იასონი იხსენიებს მას „ბარბაროსად და ურჩხულად", რომლის „ველურ ქვეყნიდან" საბერძნეთში მოყვანაც კი დიდ და აუარაცხელ მოწყალებად მიაჩნია მედიასათვის.

სამაგიეროდ შანშიაშვილი დიდს და შეუწყნარებელ შეცდომას სჩადის, როცა მედიას **ჯადოსნობას** ხაზს უსვამს. მედიას ჯადოსნობაც ჩვენის აზრით გადმოცემის ტენდენციაა: ველური ქალი, ბარბაროსი ქალი უნდათ გამოიყვანონ ჯადოს მონად, ცბიერად, უგულო და უსულო არსებად. მაგრამ აქაც კი ძველი ელლინური წყაროები უფრო თავ-დაქერილია[2]) ვიდრე ბ. შანშიაშვილი. მის ხელში მედიას ჯადოსნობა მეტის-მეტად გაზვიადებულია და იგი თითქმის „კუდიანად" არის გამოყვანილი. ეს ხელს უშლის შთაბეჭდილების მთლიანობასა და სიცხოველეს. მედიას ტანჯვა, ვაება, გრძნობით გატაცება, ჟურისძიებით აღფრთოვანება ჩვენ თუ ვეღარ გვხიბლავს, ... ველარ გვიმონებს. არ ვიცი, რომელის ავტორისაგან ისესხა ავტორმა მაგ. მედიას დეენა მამიდა მისისაგან, რომელიც შეიცავს ჰირდაპირ არა სასიამოვნო სცენებს მედიას ჯადოსნობისას. ვიმეორებ ელლინთა გადმოცემაში, რომ იყოს ასეთი სცენები ჩვენს ავტორს იგი კრიტიკის ქარ-ცერხლში უნდა გაეტარებინა და უსათუოდ გვერდი უნდა აევლო მათთვის. ერთად ერთი მნიშვნელობა აქვს მედიას გრძნეულებას, როგორც ერთგვარს ხერხს პოეტურს: მიუხედავად იმისა, რომ იგი „ჯადოსნობის მოქმედებით ყრმას მოხუცად გარდაჰქმნიდა „მხდალს უდგამდა გმირის სულსა, გმირს ვაგლახად შიშსა ჰგვრიდა", სიყვარულის ძალის გამო პაიკად და ჩვარად გარდაიქცა. მაგრამ ამისთვის ეს ორი სტრიქონიც საკმაო იყო.

ბ. შანშიაშვილმა კარგად იცის რუსთაველი და იცის თვით იგიც რაგვარ ეპყრობა ამგვარ უცნაურობის ამბებს. ხომ გახსოვსთ, რას ამბობს ქაჯების შესახებ:

„ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,
„თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი".

ეჰვი არ არის ჩვენს მგოსანს მედია და ძისი ამბავი, მრავალგვარად მოტყუებულ და გაბიაბრუებულ საქართველოს სიმბოლიურ სახედ უნდოდა შეექმნა, ამაში ვრწმუნდებით ჩვენ იმ ლირიულის ნაწყვეტებით, რომელიც ბაირონის მანერაზედ აქვს ჩართული ბ. შანშიაშვილს აქა იქ თავისს პოემაში.

„ერო, ჩემო, გულ-კეთილო ტ განთქმულო პურ-მარილით,
მტერსაც ჰხიბლავ, მოკეთესაც კაცთმოყვარე სულით ტკბილით,
მაგრამ, მითხარ, ეგ მოპყრობა თუ შენ ერთმა დაგიფასა!?
ვისაც ენდე და მიიღე, ერთი ტანჯვა გაგიასა"

(შემდეგი იქნება)

კიტა აბაშიძე.

ანა და.

„ჩემს მედიას დავუბრუნდე, მოვსთქვა მისი სევდის ალი,
უცხო ქვეყნის ქალიშვილი ვერ შეიტკბეს-მოიძულეს;
მისი გული მგზნობიარე გლახ საბრალოდ დააწყლულეს
სიკეთისთვის ჰნახეთ, როგორ დამცირეს, წყევლით კრულეს"

ამ სურვილს ავტორისას კიდევ უფრო ნათლად გვაგებინებს შესავალი ამ პოემისა.

„მსურს ერთხელ კიდევ დავმღერო, ქალი შევაქო მედია;
სისხლის ფერებით შევამკო ამაყის განაბედია:
ხოლო იასონს ვანანო, ვაგლოვო წანახედია"

ეს აზრი ავტორისა ნათელია, იგი აზრი აცხოველებს მთელ პოემას. იმის გამოა გამოწვეული ის ლირიული ამონაკვნესები, რომელიც ამშვენებს ამ ნაწარმოებს და რომელიც წარმტაცის ხელოვნებითაა დაწერილი. მხოლოდ უნდა გამოკუტყდეთ და ვსთქვათ, ამ დიად აზრს ავტორმა ვერ მიაღწია სავსებით, არ ვიცი იმიტომ, რომ მედიის, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ასახიჩრებს მეტად მისი წრეს გადასული გრძნეულება, ჯადოქრობა და არ ვიცი მიტომ, რომ შანშიაშვილის ჰაეროვან, ანგელოსებრივ ნაზ მუზას არ შეესაბამება ასეთის სასტიკის სურათებისა და ხასიათების დახატვა. მართლაც ნახეთ რა შეუდარებელია მისი რენო, მისი დემეტიკა, მისი ელე და ფრიქსი, რა საოცარის სიღრმითა და სინაზითა აქვს გამოთქმული მათი თავბრუ დამხვევი მგრძნობელობა. თვით მედიას სულის მოვლენათა ის სურათები ეხერხება მგოსანს, სადაც იგი ქალია თავიდან ფეხებამდე, დატყვევებული გრძნობისაგან, სადაც იასონი მის აზრს აღარ შორდება ერთის წუთით და თვით ღვთაების ცივი ქანდაკებაც კი იასონის ხორცს ისხამს მის თვალში სადაც იგი გრძნობათა სამეუფოშია სრულიად, ეშხით მთვრალი, გონება მიბნედილი.

შანშიაშვილის მუზას რაღაც რაფაელისებრივი აქვს. მომხიბვრელ იტალიელ მხატვრის ხელში თვით მრისხანე იეგოვა ლმობიერებით აღსავსე ტკბილ მოხუცად მოსჩანს, მისი კალამი სისხლის მღვრელ ომსაც რაღაცნაირის სიმშვიდითა და სიწყნარით აღავსებს. ეს სრულიადაც არ არის დეფექტი ნიჭისა. ეს არის გვარი ნიჭისა. უეჭველია ხელოვანთა გონებრივი სფეროც ერთგვარ ბუნებრივ კლასიფიკაციას ემორჩილება. არ უნდა ბევრი ლაპარაკი მას, რომ თვისება რაფაელისა და მიქელ-ანჯელოს ტალანტისა სულ სხვა და სხვა არის, პრაქსიტელისა და ფიდიასის კიდეე სხვა. ჩვენა გვგონია შანშიაშვილის პოეტური აღმაფრენაც სინარნარისა და სინაზის საოცნებო ლეჩაქით არის შებურვილი, ჩვენა გვგონია, რომ თვით რისხვა მის ბაგეთა საზღვარზედ ლოცვად იქცევა და შურის ძიების სურვილი შენდობით აღსავსე ლმობიერ საყვედურად. ამიტომაც არის, რომ იქ სადაც რენო შეუდარებელის ხელოვნებით ჰყავს აღწერილი, იქ სადაც მედია მგრძნობიარე და სიყვარულით მოჯადუებული ჩინებულად ჰყავს დახატული, მედია გააფთრებული, მედია შურისძიების დემონად ქცეული, სუსტად გამოდის და მისი უსაზღვრო და უძირო გაჯავრებას უფრო ჯადოქრული სახე აქვს, ვიდრე ადამიანური.

(შემდეგი იქნება)

კიტა აბაშიძე.

სოხუმის ქართველობა ყოვლად უსამღვდელოების ნება-კურთხევით შეუდგა ქ. სოხუმში ქართული ეკლესიის აშენებას, კომინტეტი უკვე აირჩია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა კნეინა აღათი ელისბარასასული შერვაშიძისა. კნეინა აღათი აგერ ოცდაათი წელიწადია, რომ ქართულ ეკლესიის საკითხის თავს დასტრიალებს და არა ერთხელ და ათჯერ აღუძრავს შუამდგომლობა ამის შესახებ მთავრობის წინაშე. სრული იმედია ამ საქმეს მოკლე დროში დააგვირგვინებს.

ბედიის დიდებულ ტაძარს მოსიყვარულე პატრონი აღმოუჩნდა—ბერ-მონაზონი იოსები (შელია). მისი მეცადინეობით ქართული მონასტერი შენდება ბედიაში. ამ საკითხს დიდი თანაგრძნობით ეკიდება ყოვლად უსამღვდელოესი ანდრია. ამ ჟამად ის ბედაშია. ხუროთ მოძღვრის თანხლებით. მამა იოსებს გადმოგვცა ჩვენ, რომ ბედიაში მას მრავალი წარწერა უნახავს ნახგრევებში და მზრუნველობით შეუნახავს ცალკე ოთახში. ამ წარწერებში მხოლოდ ორიოდე ყოფილა ბერძნული, დანარჩენი—ქართულია თურმე. საჭიროა ყურადღების მიქცევა. **სოსო.**

სოფ. სადმელი (რაჭა). ხუთს მაისს ადგილობრივ მცხოვრებთა და ქ. შ. წერ.-კ. გ. ს. ქუთ. განყ. სამკითხველოების მეთვალყურემ ბ. დოლაბერიძემ წარმოსთქვა დღის შესაფერი სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რა დიდი კულტურული დაწესებულება განახორციელეს სადმელელებმა. რომ ამ საქმემ ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა ამოვირჩიოთ სამზრუნველო კომიტეტი და სარევიზიო კომისია, რომელნიც გულით და სულით მონდომებულნი იქნებიან სამკითხველოს საქმე განავითაროონ. სანამ კანდიდატებს ამოირჩევდნენ, კრებაში გაისმა ხმა, სამკითხველოს ეწოდოს არჩილის სახელი. ამ ხმით ნასიამოვნებმა ბ. გიგო ლორთქიფანიძემ წარმოსთქვა მეტერმეტყველური სიტყვა, რომელშიაც დაახასიათა არჩილის მოღვაწეობა ქართველ ერის გათვითცნობიერებაში. კრების სურვილისამებრ სადმელის წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაერქვა არჩილის სახელი. ამის შემდეგ შეუდგნენ დასახელებულ კანდიდატების არჩევას. დაასახელეს სამზრუნველო კომიტეტის კანდიდატებად მღ. მამა იასონ შარაბიძე, გიგო ლორთქიფანიძე, ილია შარაბიძე, ადგილობრივი ფოსტის უფროსი ვლ. გომელაური, მასწ. დორ. ფირცხალავა და აპ. ჯანელ ძე. სარევიზიო კომისიის კანდიდატებად დაასახელეს აბესალომ გელოვანი, კალისტრატე გორგასლიძე, ნიკო შარაბიძე და ალექსანდრე ჭელიძე. დასახელებული კანდიდატები ერთხმად ამორჩეულ იქმნენ. სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარედ ამოირჩიეს მღვდ. მამა იასონ შარაბიძე და მდივნად მასწ. დორ. ფირცხალავა.

გაგზავნილ იქმნა მადლობის დეპეშა ქუთ. წ.-კ. განყ. თავმჯდომარესთან და მადლობა გადაუხადეს ბ. დოლაბერიძეს დახმარების აღმოჩენისთვის.

ამ ფრიად სასარგებლო კულტურული დაწესებულების განხორციელებაში დიდი შრომა მიუძღვით და მადლობის ღირსნი არიან მღვდ. მამა ვასილ შარაბიძე, რომელიც არის სამკითხველოს პასუხისმგებელი გამგე, მღვდ. იასონ შარაბიძე, მასწ. დორ. ფირცხალავა და ადგილობრივი ვაჭარი ბ. ნიკო შარაბიძე, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის სადმელის ყოველივე კულტურული დაწესებულებების განხორციელებაში. იგი ამ ახალ საქმესაც დიდ დახმარებას ჰპირდება. **ლ. კეკელია.**

გალკანეთი და სახელმწიფოები

მოკავშირეთა უთანხმოება.

ვენის დიპლომატურ წრეებში ამბობენ, რომ ამ ბოლო დროს სერბია-ბულგარეთის დამოკიდებულება ძალზე გამწვავდა და შესაძლებელია საქმის გართულებამ საშიში ნაყოფი გამოიღოსო. რუსეთი ტ საფრანგეთი ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ დაიყოლიონ ბულგარეთის მთავრობა დათმობაზე და მით თავიდან ააცილონ ბალკანეთის კავშირს ძმათა შორის სისხლისღვრა.

ბულგარელები მაკედონიაში.

ბულგარელები საჩქაროდ ამრავლებენ თავის ჯარს მაკედონიაში. ამ ჟამად იქ თავმოყრილია 65.000 ჯარისკაცი, რომელიც ყველა გზას იკავს. კავალის ნავთსადგური ძალზეა გამაგრებული, როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან. მოელიან ბერძენთა ჯარის აყრას სერეხიდან, ქსანტიდან და სხვა ადგილებიდან. სურსათის ფასმა ძლიერ აიწია, რადგან გზები ყველგან შეკრულია.

ბულგარეთი ემზადება.

სოფიის გაზეთები იუწყებიან, რომ სამხედრო საბჭოში ფერდინად მეფის თავმჯდომარეობით გადაწყვეტილების მთელი რიგი მიიღეს „მოულოდნელ შემთხვევის“ წინააღმდეგ. ბულგარეთის მთავარი შტაბი დიდ-ძალ ჯარს აგროვებს სერბიის საზღვარზე. სამხედრო თადარიგს აშკარად ახდენენ, რათი სერბიას ეშვიც კი აღარ დარჩეს ბულგარეთის შეურყეველ გადაწყვეტილებისა. სოფიის გზ. „დნევნიკი“ მდგომარეობას მეტად საშიშრად სთვლის, მით უმეტეს, რომ სერბიაში ამ ბოლო დროს სამხედრო პარტიამ გაიმარჯვა. მეფე პეტრე ავადაა და უკანასკნელ დროს სრულიად არ ერევა სახელმწიფოს საქმეებში. ფაქტიურად სერბიას მართავს მემკვიორე ალექსანდრე და მისი ღენერლები.

სერბია უკვე მზადაა.

მაკედონიიდან დაბრუნებისას სერბიის მთავარსარდალმა პუტნიკმა დიდხანს ითათბირა პაშიჩთან, რის შემდეგაც ინახულა მეფე. ბელგრადის გაზეთების სიტყვით, პუტნიკმა განაცხადა, რომ სერბია სრულიად მზად არის საომრად და აფიცრებიც არაოდეს არ დასთანხმდებიან, რომ ბულგარეთს დაეთმოს ის ადგილები, რომელიც სერბიის ჯარმა დაიპყრო. მემორანდუმი თუმცა თავდაპერილაო, მაგრამ მაინც გადაქრილ კილოზეა დაწერილი. სერბიის მთავრობა აცხადებს, რომ ძველი ხელშეკრულობის დაცვა ყოვლად შეუძლებელია, რადგან ბულგარეთი იმაზე გაცილებით მეტს ღებულობს, რასაც ომის დაწყებისას ვარაუდობდაო. დასასრულ მემორანდუმი აღნიშნავს, რომ სერბიის მთავრობა ვერ შესცვლინ თავის აზრს, თუნდაც მის დასაცავად უკიდურესი ღონისძიების მიღებაც კი დასჭირდესო.

დეპეშები

დეპეშათა პეტერბ. სააგენტო.

8—9 მაისი.

უცხოეთი.

რომი. სტეფანის სააგენტოს სკუტარიდან ატყობინებენ, რომ საადმინისტრაციო სამსახურის „მოწყობა ჩინებულად მიმდინარეობსო. სასანიტარო პირობები კარგია. საერთაშორისო რაზმები ყაზარმებშია მოთავსებული.

ბელგრადი. „პრეს-ბიურო“ უარჰყოფს უცხოელ გაზეთებში გავრცელებულ ცნობას, ვითომც ზავის ჩამოგდების შემდეგ პეტრე მეფე ტახტიდან გადადგომას აპირებდეს.

ქაირი. დიკოზიაში ქიამილ-ფაშის საწინააღმდეგო შეთქმულება ამოაჩინეს.

სტამბოლი. ავსტრიის და იტალიის გემებზე მოიყვანეს ვოლნიდან 2,700 ავადმყოფი ჯარის-კაცი და 91 ავადმყოფი ოფიცერი.

ვენა. ნაფიც-მსაჯულთა ზეინკალი კუნჩაკოვი დამნაშავეთ სცნეს რეხსტაგის დეპუტატის ფრანც შუმაიერის მკვლელობაში და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს.

კოპენჰაგენი. ფოლგსტინგში აირჩიეს: 43 მემარცხენე, 32 სოციალისტი, 31 რადიკალი, 7 მემარჯვენე.

ვენა. დეპუტატთა პალატაში დაიწყო კამათი მინისტრ-პრეზიდენტის განმარტების თაობაზე. სლოვენეცმა ხორუბეცმა განაცხადა: იმპერიის მომავალი ადრიატის ზღვასა და ბალკანეთზეა დამყარებულიო. მონარქიის სამხრეთ სლავიანები საზღვარგარეთ არ მიდიან, მხოლოდ მოითხოვენ სხვა ერებთან ერთად თანასწორ უფლებოვანი იყვნენ. გერმანელთა საეროვნო კავშირის ბელადმა გროსმა განაცხადა: დუალიზმის შეცვლა ფედერალისტურ-ტრიალისტურ წესწყობილებით მონარქიის ფრიად სახიფათოა. ეს შეიქმნება პანსლავიზმის მასაზრდოებლად. ჩეხელი სოციალ-დემოკრატი მკაცრად ჰგმობს ავსტრიის პოლიტიკას ბალკანეთის საკითხში. ჩვენ არა გვსურს ბრძოლა ბალკანეთის სახელმწიფოებთან და რუსეთთან. ავსტრიას შეუძლიან იარსებოს მხოლოდ როგორც ერთა დემოკრატიულ კავშირს. ახალგაზრდა ჩეხელი კრამარჟი სინანულს გამოსთქვამს, რომ ავსტრიამ არ ისარგებლა შემთხვევით და ერთხელ და სამუდამოდ არ გადასწყვიტა ბალკანეთის საკითხი. ჩვენი მობილიზაცია რუსეთის საზღვრებზე არ იყო გამოწვეული რუსეთის იმპერიის მოქმედებით. ჩეხელების აზრით, ადრიატის ზღვაზე არც ერთმა დიდმა სახელმწიფომ არ უნდა იბატონოს. ვალონში იტალია—ჰნიშნავს დასასრულის დაწყებას. ალბანეთის გაყოფა იტალიასა და ავსტრია-ჰუნგრეთის მორის, მონარქიისთვის ყველაფერზე მავნე და საზარალოა. მონარქიამ სლავიანებთან მეგობრული განწყობილება უნდა განამტკიცოსო. მომავალი ხალხის კმაყოფილებაზე უნდა იყოს დამყარებული.

ლონდონი. ელჩთა კონფერენციის სხდომა მოხდა. შემდეგი სხდომა ორშაბათს მოხდება. ელჩებმა განიხილეს დიდ სახელმწიფოთა მთავრობების შეხედულება ავსტრიის და იტალიის პროექტის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს ალბანეთი ადმინისტრატიულად. ელჩებმა გამოსთქვეს სურვილი სამშვიდობო ხელშეკრულებას ეხლავე მოაწერონ ხელი და წვრილმანი საკითხები შემდეგ განიხილონ.

სტამბოლი. შეიხ იბნისეაუდის მომხრეებმა დაიჭირეს ქალაქი შირაკი და ოსმალეთის მთავრობა გასდევნეს. ზანგების მოძრაობა ფრიად აღონებს მთავრობას; ეშინიათ შისი გავრცელებისა.

გაზეთები მსჯელობენ „ნეიე-ფრ.-პრესე“-ში დაბეჭდილ წერილის თაობაზე, რომელშიაც გამოთქმულია აზრი, რომ ოსმალეთის ძლევამოსილების აღსადგენად სირიასა და სომხეთში უწესოების მოსასპობად საჭიროა ფლოტის გაძლიერებაო. წერილი ყკუთვნის ფელდმარშალ ფონდერ-გოლც-ფაშას.

სოფია. „მირ“-ი გაკვირებას გამოსთქვამს, რომ აქამდის მოკავშირეთა დელეგატებს არ აქვთ გაგზავნილი ინსტრუქციები. სანამ წინასწარ სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერენ, მანამდე საქმის დაწყება შეუძლებელია. დაგვრჩენია მხოლოდ ველოდოთ ელჩთა დღევანდელ თათბირის გადაწყვეტილებას. თუ ეიგიც მშვიდობიანობას არ მოგვიტანს, ბულგარეთი იძულებული იქნება დამოუკიდებლად იმოქმედოსო.

ლონდონი. რეიტერის ცნობით, დანევსა ტ გრეის შორის ხანგრძლივი თათბირი მოხდა. დანევს უთქვამს: დიდ სახელმწიფოთა მოვალეობას შეადგენს იღონონ რამე და საბერძნეთს და სერბიას წინასწარ მშვიდობიან ხელშეკრულებაზე ჩელი მოაწერინონ. დანევი ებაასა ოსმან-ნაზიმ-ფაშას, გამოირკვა, რომ ბულგარეთი ტ ოსმალეთი ერთნაირად არიან ძოწადინებულნი, რაც შეიძლება მალე დამყარდეს მშვიდობიანობა.

ვენა. დეპუტატთა პალატა. ჩეხელმა სტანეკმა განაცხადა: ხელოვნურად შექმნილი ალბანეთი, ბალკანეთში მშვიდობიანობას ვერ ჰყოფს უზრუნველად.

ტოკიო. პრესა დინჯად შეჰხვდა ცნობას, რომ გუბერნატორმა კალიფორნიის კანონ-პროექტს ხელი მოაწერაო. იმედს გამოსთქვამენ, რომ ვიდრე კანონი ძალაში შევა, იაპონიის დიპლომატია შესძლებს გამოიყენოს ამერიკის ცენტრალურ მთავრობის თანაგრძნობა და მიზანს მიაღწევსო.

მუკდენი მთავარმა ტუბეტმა მოსთხოვა გუბერნატორს გაჰგზავნოს ჩინელთა ჯარი, რათა მცხოვრებნი დაიცვან ჩრდილოეთით შემოკრილ მონღოლებისაგან.

ლონდონი. ნოვაკოვიჩმა ბალკანელ დელეგატების სახელით გადასცა გრეის შესწორებანი, რომელიც ,,ხელშეკრულების პროექტში უნდა შეიტანონ. მოკავშირენი მოითხოვენ, რომ საფინანსო კომისიაში ბალკანეთის წარმომადგენლებს იგეთივე უფლება ჰქონდეთ, როგორც სხვა სახელმწიფოთა დელეგატებს.

ბელგრადი. „სამოუპრავა“ სწერს: ოსმალეთი და ბულგარეთი მოწდინებულნი არიან ხელი მოაწერონ სამშვიდობო ხელშეკრულებას პროექტის განუხილავადო. დანარჩენი მოკავშირენი კი ამას არა კმაყოფილდებიან და მის განხილვას ტ შეცვლას მოითხოვენო.

პარიზი. საპეტერბურგო კომისიამ მოიწონა პატეს მოხსენება სამხედრო სამსახურის სამი წლის ვადის თაობაზე. მინისტრთა საბჭომ დაადგინა, წინააღუდგეს 12 მაისის მანიფესტაციებს, რომელსაც ყოველ წლივ ახდენენ სოციალისტები და სინდიკალისტები კომუნის სახსოვრად.

რუსეთი.

პეტერბურგი. ციხეთა მთავარმა სამმართველომ მიიღო წინადადება, მონაწილეობა მიიღოს ბრიუსელის საერთაშორისო კონგრესზე ბავშვთა დანაშაულობასთან საბრძოლველად.

პეტერბურგი (ოფიციალური). ვაჭრობის სამინისტროს კანცელარია იუწყება, რომ გაზეთებში მოყვანილი ცნობა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრსა და მრეწველთა დელეგატების შორის მომხდარ კონფლიქტზე ბეშმარიტებას სრულიად არ შეეფერება. მინისტერია — [illegible] გადაეცა მრეწველთა წარმომადგენელს, რომ, რადგანაც ფასები მანქანების გასაკეთებლად ფრიად აწეულია და გადადებული ფული არ ჰყოფნისო, ამისთვის სამინისტრო იძულებული არის მანქანები უცხოეთში შეუკვეთოსო.

კიევი. სამხედრო სასამართლო ლიპოვეცკის ციხეში არეულობის მოხდენისათვის სიკვდილით დასჯა მიუსაჯა 16-ს ტუსაღს; ერთი გაამართლა.

პეტერბურგი. 1034 მუხლის ძალით სამართალში მისცეს „რუსკ. მოლ. ვის“ რედაქტორი წერილისათვის:—„სისხლის ფასი“.

შემოწირულება

ნინო კლიმენტის ასულმა ბოლგარსკისამ შემოსწირა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას თავის ძმის იოსებ კლიმენტის ძის დოლინსკის მიერ დატოვებული შემდეგი წიგნები: ა) ისტორია ირაკლი მეფისა და თეიმურაზ მე-II-სა (მხედრული ხელნაწერი), ბ) „ვახტანგ მეფის სამართალი“ (მხედრული ხელნაწერი), გ) „ქილილა და დამანა“ (მხედრული ხელნაწერი) ნაწყვეტები, დ) სია ყმათა, ე) წიგნი როსტომ მეფისა, ვ) „ჟამნი“ დაბეჭდილი 1856 წ. (ხუცური), ზ) „ფსალმუნი“ (ხუცური) დაბეჭდილი 1827 წ., ც) ნაწყვეტი „ვეფხის-ტყაოსნისა“ (მხედრული ხელნაწერი), თ) ამპოკრითული მოთხრობანი საღმრთო წერილიდან (მხედრული ხელნაწერი), ი) წმიდა ნინოს ცხოვრება (მხედრული ხელნაწერი) ია) „ლოცვანი“ (მხედრული) დაბეჭდილი 1826 წ. იბ) გამოცანების რვეული (მხედრული ხელნაწერი), იგ) წამება ქეთევან დედოფლისა (მხედრული ხელნაწერი), იდ) მზითვის სია, 1822 წ. დაწერილი, იე) „გუთნის დედა“, 1876 წ. ბურული, ივ) სახარება ხუცური ნაბეჭდი და იზ) „Григорій Назіанзин Богаслов и его поучительныя слова“ (სლოვიანური წიგნი) ნაბეჭდი.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველს.

წერილი რედ. მიმართ

გგზავნით ამასთანავე 35 მანეთს არჩილ ჯორჯაძის სახელის უკვდავსაყოფად და გთხოვთ ეს ფული მოახმაროთ ან ძეგლს, ან სხვა რამეს, რასაც რედაქცია დაადგენს:

შემომწირველთა სია: მღ. მათიკაშვილისაგან 5 მან., სერაპიონ მელქაძესაგან 5 მან., კლიმენტი ლორთქიფანიძესაგან 5 მან., ბესარიონ გაბუნიასაგან 3 მან., ბათლომე შანიძესაგან 3 მან., დავით მდივანისაგან 2 მან., გიორგი ბარამიძესაგან 5 მან., ერმილე კარანაძესაგან 3 მან., ალექსანდრე გეგეჭკორისაგან 2 მან., ლავრენტი ხოფერიასაგან 2 მ. სულ 35 მ.

პატივისცემით **მღ. მათიკაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჯუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).
ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაკკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადმოსვლა სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

თბილისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ჩქარი** პლაკკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასვლა. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65, **საბაგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **ხაბგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **სახარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ჩაჩქარი** პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

თბილისიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **ხაბგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 103, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

სასანიტარო ექიმეგი

უბნები: 1, 2—9 **ბ. ფომინა-ოხიმოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6**ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **ვ. ბ. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **ვ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).
ნასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობა შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ან სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაგრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თბილისის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკინის მოედანზე.

ქალაქის სავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუნისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.
ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან დარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვევს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭმარო მემთხვევებისა, როცა დაზარბა დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კერძო ავადმყ. არ იღებს. ძველკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.
ბ. ბ. ავგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. (აბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბვეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., სამ. და ქირურგ.
ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
სალამოთი:
მ. გ. ბვეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ექიმი ბილის ა. ბ. სოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ახალ მოდის ჟურნალ „GEORIA“
19 3 წლის საზაფხულოდ დამზადებული ნიმუშებისა. ფასი 15 კაპ.
მიჰმართეთ **ს. ი. მატინიაცის** მაღაზიაში, ნიკოლოზის ხიდზე. 184

ეპილეფსიისა
ეპილეფსიისა
ეპილეფსიისა